

პიროვნების თვითგამოხატვის პრობლემა კოლონიურ
და პოსტკოლონიურ სივრცეში (ოთარ ჭილაძის *აველოუმის* და
ამიტავ გოშის *ჩრდილის მიჯნების* მიხედვით)

ნუნუ ღამბაშიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუნუ დამბაშიძე

06.07.2015

აბსტრაქტი

წინაპირობა: ორი რომანის: ოთარ ჭილაძის *აველუმის* და ამიტავ გოშის *ჩრდილის მიჯნების* მიხედვით (პოსტ)კოლონიურ სივრცეში პიროვნების თვითიდენტიფიკაციის ცდების კვლევა.

მეთოდოლოგია: ორი რომანის ინტერპრეტაცია, მათი პარალელების ძიება სიუჟეტურ და დისკურსის დონეზე. ამარტია სენის, გაიატრი სპივაკის, ერნესტ გელნერის და სხვა მკვლევარების ნაშრომებში შინაარსის შესაბამისი ისტორიული და თეორიული დასკვნების მოძიება.

შედეგები: თითოეულ რომანში გამოიკვეთა ოპოზიციური პერსონაჟები, გარემოს აღქმის და მასთან წინააღმდეგობის მცდელობების მიხედვით. გამოიკვეთა ასევე მწერლების ავტობიოგრაფიული ჩანართები და რეალური ისტორიული მოვლენები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟების გახსნაში. შინაარსის ინტერპრეტაცია მოხდა თეორიული შრომების დახმარებით, მათი დებულებების მიხედვით.

დასკვნა: თითქმის ყველა შემთხვევაში პერსონაჟები თვითიდენტიფიკაციას ცდილობენ რეპრესიულ გარემოსთან ბრძოლით. სხვადასხვა თაობის წამომადგენელთა მცდელობები და ნარატივი განსხვავებულია. თავისუფლება და სიყვარული პერსონაჟების გამაერთიანებელი, უმთავრესი ღირებულებებია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კოლონიური, პოსტკოლონიური, იმპერია, თვითიდენტიფიკაცია, ორიენტალური, გაყოფა, ნაციონალიზმი, ტრავმული მეხსიერება, სუბალტერნი.

Abstract

Precondition: Research of personal self-identification issues in (post)colonial environment, based on two novels: *Avelum* by Otar Chiladze and *The Shadow Lines* by Amitav Ghosh.

Methodology: Interpretation of the two novels. Finding parallels between contents and discourse. Search of relevant historic and theoretical conclusions in the works of: Amartya Sen, Gayatri Spivak, Ernest Gellner, etc.

Results: Each novel shows the opposing characters, by their evaluation of environment and attempts of resistance. Writers' autobiographical and historical parallels were found, which are importantly defining characters and their behavior. The interpretation of the stories was based on theoretical works and theses.

Conclusion: Almost every character seeks for self-identification within resistance, opposing the repressive environment. Attempts and narratives are different for different generations. Freedom and love are the mainstream values of all characters.

Key Words: Colonial, Postcolonial, Empire, Self-identification, Oriental, Partition, Nationalism, Traumatic Memory, Subaltern.

მადლობა

დიდ და გულწრფელ მადლობას ვუხდით ბელა წიფურას, მოთმინებისა და გულშემატკივრობისთვის.

ვემადლიერები ჩემს ლექტორებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებმაც წარმოუდგენლად ბევრი რამ მომცეს ორი წლის განმავლობაში: ლევან ცაგარელს, ნინო ფირცხალავას და თამარ ლომიძეს.